მუნიციპალიტეტის მერიის ექვსი თვის ანგარიში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის შესახებ

სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება მუნიციპალიტეტის საკუთარი შემოსავლებით და ასევე დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერით. თითოეული პროგრამის ფარგლებში დახმარების ოდენობა და მის მისაღებად საჭირო დოკუმენტციის მიხედვით პროგრამით დადგენილი კრიტერიუმების შესაბამად იღებს დახმარებას ბენეფიციარი. დახმარება გაიცემა მოსარგებლის პირად ანგარიშზე ან პროგრამის შინაარსიდან გამომდინარე იმ ორგანიზაციის ანგარიშზე, რომელმაც მომსახურება გაუწია ბენეფიციარს.

2018 წელს ექვს თვეში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების თანადაფინანსებისათვის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული იყო 306,147 ათასი ლარი, ხარჯმა კი შეადგინა 283,453 ათასი ლარი, რაც გეგმის 92,5 %-ია. ამ ხარჯებიდან ოჯახებისა და ბავშვების სოციალურ დაცვას მოხმარდა 60,430 ლარი, რაც პროგრამის 99,4 %-ს შეადგენს. ამ პროგრამით სარგებლობს 28 მრავალშვილიანი ოჯახი რომლებსაც ყოველთვიურად ერიცხება 3100 ათასი ლარი, დედ-მამით ობოლი ბავშვის 2 ოჯახი (ყოველთვიური თანხა 300 ლარი), ფენილკეტონურიით დაავადებული 4 ბენეფიციარი, ჰემოფილიით დაავადებული 3 პირი, კომუნალური დახმარებით 18 წლამდე ასაკის შშმ პირთა 51 ოჯახი . საანგარიშო პერიოდში პროგრამის ფარგლებში 62 ახალშობილმა ოჯახმა მიიღო 12400 ათასი ლარის დახმარება. ხანდაზმულმა სამმა მოქალაქემ 900 ლარი და განსაკუთრებით მძიმე ჯანმრთელობის მქონე ოთხმა ბენეფიცირს გაეწია 1920 ათასი ლარი.

მ/ წლის ექვს თვეში საციონარულ სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებასა და მედიკამენტების შეძენისათვის გაწეული იქნა 166,942 ათასი ლარის დახმარება, რაც დაზუსტებული ექვსი თვის გეგმის 99,7% შეადგენს. თანხა გადაერიცხა შესაბამის მომსახურე სამედიცინო დაწესებულებას. საანგარიშო პერიოდში C ჰეპატიტით დაავადებულ პირებში მკურნალობის ტაქტიკის განსაზღვრისათვის დახმარება გაეწია 52 ბენეფიციარს, რომლის მომსახურების ღირებულებამ 7689 ლარი შეადგინა, ონკოდაავადებულმა 109 მოქალაქემ მიიღო 25935 ლარის დახმარება, დაკმაყოფილდა გულის თანდაყოლილი პათოლოგიით და

ეპილეფსიით დაავადებული 11 ბენეფიციარის მოთხოვნა და თანხა გადაერიცხა შესაბამის მომსახურე სამედიცინო დაწესებყულებას 1997 ათასი ლარი. ყველა ასაკის ШШმ პირს სტაციონალური სამედიცინო მომსახურებისა და მედიკამენტების შეძენისათვის გაეწია 5807 ათასი ლარის დახმარება. დროულად მიიღეს დახმარება თირკმლის უკმარისობით დაავადებული ბენეფიციარებმა, რომლებსაც პირად ანგარიშზე ერიცხება ყოველთვიურად 140 ლარი.

ერთჯერადი ფულადი დახმარება მიიღო მძიმე საცხოვრებელი და ეკონომკიურ პირობებში, სტიქიური მოვლების შედეგად დაზარეალებულმა 31 ოჯახმა 43010 ლარის ოდენობით. პროგრამის შესაბამისად დახმარება გაეწია საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულთა ოჯახებს. ამ მიზნით გაწეული იქნა 11,920 ლარის ხარჯი. რაც დაზუსტებული გეგმის 96,7 %-ია. ფულადი დახმარებით ისარგებლა იძულებით გადაადგილებულმა ოთხმა ბენეფიციარმა, რომლებსაც ჩაერიცხა რვაასი ლარი. სუბსიდიის მუხლიდან დაფინანსდა ა(ა)იპ განათლების ,,დღის ცენტრი“ - 6500 ლარი და ა(ა)იპ საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოება 27362 ლარი. სულ ამ მუხლზე გახარჯულია 33,863 ლარი.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა სამსახური ჩართული იყო სხვადსხვა სოციალურ და კულტურულ პროგრამებში. შესწავლილი იქნა 37 ოჯახის საცხოვრებელი პირობები და მომზადდა მასალები მათი შესაძლო ერთჯერადი ფულადი დახმარების თაობაზე.